2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები

არჩევნებზე გამოცხადდა 36 225 ამომრჩეველი– 59%.

პროპორციული სიით არჩევნების შედეგები:

№5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა –8996 ხმა, 25,87% –9 მანდატი;

№25 „საქართველოსათვის-გახარია“ –3228 ხმა, 9,28 % –3 მანდატი;

№41 „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ –17 536 ხმა, 50,43 % –18 მანდატი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის არჩევნების შედეგები:

№5 ირაკლი ღლონტი –6849 ხმა, 19,63%;

№25 გივი ცეცხლაძე – 2157 ხმა, 6,18%;

№41 ავთანდილ თალაკვაძე –15 396 ხმა, 44,13%;

№54 გოჩა ძიმისტარიშვილი –358 ხმა, 1,02 %;

№56 **კონსტანტინე შარაშენიძე** –10 131 ხმა, 29,04%.

(მეორე ტურში **ავთანდილ თალაკვაძე** და **კონსტანტინე შარაშენიძე** გავიდნენ)

ადგილობრივი თვითმმართველობის მაჟორიტარულ ოლქებში:

ქალაქი ოზურგეთი – **ნინო ნადირაშვილი, დავით მდინარაძე;**

ვაკიჯვარი – ცხემლისხიდი – მთისპირი- **ვახტანგ ნიჟარაძე;**

ლიხაური – მაკვანეთი – ჭანიეთი –**ბექა თოიძე;**

ნასაკირალი– **ბესო ქათამაძე;**

ნატანები – **თამაზ ტულუში;**

თხინვალი – კონჭკათი – მერია – **ტარიელ არაოშიძე;**

ურეკი – შრომა –**დავით ჭაკნელიძე;**

ბაილეთი – სილაური – ჯუმათი –**პაატა კიღურაძე;**

ბახვი – დვაბზუ – **მარიკა ჩხიკვიშვილი;**

ბოხვაური – შემოქმედი – დაბა გომისმთა **ნუგზარ სარჯველაძე.**

აქედან 9 ოლქში პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს, ხოლო ნსაკირალის საარჩევნო ოლქში –„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა.

მეორე ტურის გაიმართება:

ქ. ოზურგეთის 60/01 საარჩევნო ოლქი – №25 **გიორგი სირაძე** – 1000 ხმა, 37,76%; **ლელა საჯაია** – 1052 ხმა, 39,73 %;

ლაითური-ნარუჯის №60/06 საარჩევნო ოლქი:

№5 **რაინდი დუმბაძე** –952 ხმა, 38,34%;

№41 **გიორგი ჩაგანავა** –842 ხმა, 33,91%;

გურიანთა-სოფ. ოზურგეთი-მელექედურის №60/11 საარჩევნო ოლქი:

№53 დათა მიქელაშვილი –723 ხმა, 27,97%;

№41 ნინო მახარაძე –912 ხმა, 35,28%;

ასკანა-ძიმითი –ნაგომარის №60/12 საარჩევნო ოლქი:

№5 შალვა თავდიშვილი –474 ხმა, 25,47%;

№41 ტიტე მგელაძე –720 ხმა, 38,69 %.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 34 (10404) 11 ოქტომბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ბეჭდური მედიის მონიტორინგი წინასწარი ანგარიში

„რეგიონული გამოცემები (**„გურია news“, „ალიონი“, „ჰო და არა“, „ჩემი ხარაგაული“**) მთლიანობაში დაბალანსებულია, არ გვხვდება შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგია და ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები, სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. **გაზეთები ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ.** პოლიტიკური პარტიების საარჩევნო აქტივობები, მერობის კანდიდატების ხედვები თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა.“

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - **„2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“** - ფარგლებში, ბეჭდურ მედიას აკვირდება. მონიტორინგი 2021 წლის 5 ივლისს დაიწყო. დაკვირვება ხორციელდება 11 გამოცემაზე: **„რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „სავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“,**

▶▶▶ გვ-2

საარჩევნო საჩივრების განხილვამ აჩვენა, რომ მომხდარ შეცდომებს არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია

ალიონი. „საარჩევნო პროცესს საქართველოში ახასიათებს საარჩევნო დავების სიმრავლე. არჩევნებთან დაკავშირებული დავების ანალიზი, ისევე როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშები და საარჩევნო სუბიექტების განცხადებები ცხადყოფს, რომ საარჩევნო პროცესი მიმდინარეობს დაძაბულ და პოლარიზებულ გარემოში, ჩართული მხარეების მხრიდან ერთმანეთის მიმართ უნდობლობის ფონზე. ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანია საარჩევნო დავების პრევენცია, ისევე როგორც, წამოჭრილი დავების გამჭვირვალე, დროული და ეფექტური გადაწყვეტა კანონიერების პრინციპის საფუძველზე...

პრინციპი, რაზეც აგებულია საარჩევნო კოდექსი არის ერთი, საარჩევნო დავას იგებს მხოლოდ აქტიური მოსარჩელე, რომელსაც გააზრებული, შესწავლილი და აღქმული აქვს საარჩევნო კოდექსის პრინციპული დებულებები“. –საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა, რომელიც წინა არჩევნებს ეხებოდა, დღესაც აქტუალურია და საარჩევნო დავების სიმრავლე ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნებზეც ანალოგიური გახლდათ.

ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში საჩივრების განხილვამდე საოლქო-საარჩევნო კომისიამ ოზურგეთის სპორტის სასახლეში საჯაროდ გადაითვალა ლოტოტრონით გამოვლენილი **№17 ასკანის, №25 დვაბზუს, №32 ლიხაური II, №50 ცხემლისხიდის, №53 ჭანიეთის** საარჩევნო უბნების ბიულეტენები, ასევე ოლქმა საკუთარი ინიციატივით გადათვალა **ლაითურის №11** და **მშვიდობაურის №22** საარჩევნო უბნების შემაჯამებელ ოქმებში ბალანსირებული მონაცემები. აღნიშნულ უბნების შემაჯამებელ ოქმებს არ ახლდა შესწორების ოქმები.

5 და 6 ოქტომბერს ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ განხილული საჩივრები არ ასახავდა არჩევნების მიმდინარეობისას არსებით დარღვევებს, რომელთაც რაიმე გავლენა მოეხდინათ არჩევნების შედეგებზე.

საოლქო-საარჩევნო კომისიის სხდომაზე ყველაზე ხალხმრავალი წარმომადგენლობა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ შეტანილი საჩივრის გამო იყო, როდესაც ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი **მეგი ბაკურაძე** ქ. ოზურგეთის №60/02 უბანში მომხდარი შეცდომის გამო ითხოვდა უბნის ხელახლა გადათვლას, ხელმოწერის სინამდვილის დადგენას, დისციპლინარული პასუხსმგებლობა დაკისრებას კომისიის ყველა წევრისათვის. აქ პროპორციული არჩევნების შემაჯამებელ ოქმში ჩაწერილი არასწორი ციფრის გამო, (ერთ-ერთ პარტიას 51-ის ნაცვლად 54 დაუწერეს) მას შემდეგ მოხდა ჩასწორება, როცა საარჩევნო ბეჭედი უკვე დალუქული იყო – მიუთითებდა თავის საჩივარში მეგი ბაკურაძე.

აღნიშნულის საჩივრის განხილვა კარგა ხანს გაგრძელდა, რაშიც საოლქო კომისიის წევრების გარდა უშუალოდ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიც გამოიკითხნენ. აღნიშნულ საჩივარს საუბნო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი სიამაშვილმა** „აბსურდული“ უწოდა. სხდომაზე მოწვეულმა კომისიის წევრებმა, მათ შორის ოპოზიციური პარტიებიდან, არ დაადასტურეს მომჩივანის მოთხოვნების სამართლიანობა.

–მე შემეშალა, 51-ის ნაცვლად დავწერე 54, ამიტომ მოხდა მეტობა, რაც შემდეგ შესაბამისი წესების დაცვით ჩავასწორეთ – განაცხადა კომისიის მდივანმა **ლიანა თალაკვაძემ.**

საოლქო კომიის თავმჯდომარე **ბერდია ლომიძემ** თქვა, რომ ასეთ დროს, მომჩივანის მოთხოვნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე და მდივანი შეიძლება დისციპლინარულად დასჯილიყო, მაგრამ სამართლიანი არჩევნებისა და

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი თვეშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ბეჭდური მედიის მონიტორინგი წინასწარი ანგარიში

„საქარ-თველო და მსოფლიო“, „გურია news“, „ალიონი“, „ჰო და არა“, „ჩემი ხარაგაული“.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბეჭდური მედიის მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების აქტივობების გაშუქება.... მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი. ანგარიშში მოცემულია ბეჭდური მედიის მონიტორინგის ძირითადი შედეგები. **თითოეული შერჩეული გაზეთის დეტალური შეფასება წარმოდგენილი იქნება მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში. ინტერნიუსი - საქართველო საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა ბეჭდური მედია.**

5 ივლისი - 25 სექტემბრის პერიოდის ბეჭდური მედიის მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი შედეგები გამოავლინა:

ბეჭდური მედიის უმეტესი ნაწილი კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას – ისინი არ ცდილობენ მკითხველს ხარისხიანი და სანდო ინფ-ორმაცია მიაწოდონ. ზოგიერთი გაზეთი დაუბალანსებელი და ტენდენციურია, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად საკმარისი არ არის მკითხველი მხოლოდ ერთ გამოცემას გაეცნოს; გაზეთები, წინა წლების მსგავსად, კვლავაც აქტიურად აშუქებდნენ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. **პოლიტიკურ თემებზე მომზადებულმა მასალებმა და ინტერვიუებმა განსაკუთრებით გაზეთ „კვირის პალიტრაში“ მოიმატა**. გამოცემა, დედაქალაქის მოსახლეობისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, სხვადასხვა პარტიის თბილისის მერობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებთან ინტერვიუებში აქტიურად აშუქებდა მათ წინასაარჩევნო დაპირებებსა და ხედვებს, **სხვადასხვა პარტიის კანდიდატებთან ინტერვიუები გამოქვეყნდა „ქრონიკა+“-შიც.** თუმცა, ყოველკვირეული ბეჭდური გამოცემების უმრავლესობა („ასავალ-დასავალი“, „ალია“, „საქართვე-ლო და მსოფლიო“) მკითხველისთვის საარჩევნო პროცესების შესახებ სიღ-რმისეული და ანალიტიკური ინფორმაციის მიწოდებას ვერ ახერხებდნენ - გამოცემები ნაკლებად აშუქებდნენ როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიებს და საარჩევნო პროგრამებს. ძირითადად, ქვეყნდებოდა კონკრეტულ აქტუალურ თემასა და მიმდინარე პროცესებზე პოლიტ-იკოსთა განცხადებები და მოსაზრებები, აქცენტი ასევე კეთდებოდა პარტიების დაპირისპირებებზე;

არჩევნების მოახლოებასთან ერთად წინასაარჩევნო პროცესების გაშუქებამ მოიმატა ყოველდ-ღიურ გაზეთებსა („რეგონანსი“, „ახალი თაობა“) და რეგიონულ გამოცემებში („გურია news”, „ალიონი“, „ჩემი ხარაგაული“, „ჰო და არა“). ამ მხრივ განსაკუთრებით რეგიონული გაზეთები გამოირჩეოდნენ - ისინი აქტიურად აშუქებდნენ რეგიონში/რაიონში მიმდინარე როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური პარტიების საარჩევნო აქტივობებსა და მერობის კანდიდატებს; რეგიონული გამოცემები (**„გურია news“, „ალიონი“, „ჰო და არა“, „ჩემი ხარაგაული“**) მთლიანობაში დაბალანსებულია, არ გვხვდება შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგია და ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები, სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. გაზეთები ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო აქტივობები, მერობის კანდიდატების ხედვები თანაბრად და მიუკერძოებლად შუქდებოდა. თუმცა, ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც არჩევნებში მონაწილე ინტერნიუსი - საქართველო საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა 5 ბეჭდური მედიასაშუალებაში პოლიტიკოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი მოსაზრებები დადებით კონტექსტში წარმოეჩინათ.

რეგიონული გამოცემები წინასაარჩევნო პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად დიდ ადგილს უთმობდნენ რეგიონის-/რაიონის/სოფლის მოსახლეობისთვის აქტუალურ სოციალურეკონომიკურ თუ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, სხვადასხვა სოციალურ საკითხებს, სოფლის მეურნეობასა და აგრო-ტურიზმთან დაკავშირებულ თემებს, რომელთა გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც ხელისუფლების და ოპოზიციის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის კომენტარები. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლების აქტივობებისა და პროექტების გაშ-უქების დროს ჟურნალისტების კრიტიკული დამოკიდებულება ნაკლებად შეინიშნებოდა, რის გამოც, ხელისუფლება, ძირითადად, ნეიტრალურად და დადებითად წარმოჩინდებოდა;

(იბეჭდება შემოკლებით)

განახლებული რეგიონების ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ იმსჯელეს

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის გიორგი ურუშაძის ხელმძღვანელობით, სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განიხილეს და დასაფინანსებლად შეარჩიეს პროექტი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირების მიზნით; საბჭოზე, ასევე, ისაუბრეს მუნიციპალიტეტებში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსებული პროექტების, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და სახელმწიფო პროგრამის - განახლებული რეგიონების ფარგლებში მიმდინარე პროექტების მიმდინარეობაზე, მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსა და საჭიროებებზე.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომას რწმუნებულის მოადგილეები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ციური ბაბილოძეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის საჯარო სკოლაში ამ სკოლის ამაგდარ პედაგოგს ციური ბაბილოძეს ოზურგეთის განათლების რესურსცენტრის უფროსმა **ლელა იმედაშვილმა** საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების დამადასტურებელი სიგელი და სამკერდე ნიშანი გადასცა.

–განათლებისა და მეცნიერების *სამინისტრომ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროფესიული ცენტრმა შემოგვთავაზა წარგვედგინა მუნიციპალიტეტის საუკეთესო პედაგოგი ამ ჯილდოზე. ჩვენ არჩევანი ქალბატონ ციური ბაბილოძეზე გავაკეთეთ. იგი ამას იმსახურებს*–განაცხადა ლელა იმედაშვილმა.

ციური ბაბილოძის თქმით იგი ასაკს არ მალავს, 80 წლისაა და აქედან 70 წელი სკოლას უკავშირდება, როგორც მოსწავლის ისე მასწავლებლის სახით. 1964 წელს მივიდა იგი მერიის საჯარო სკოლაში და მას შემდეგ დარსა თუ ავდარში მისი გზა სოფელ ჭანიეთიდან ოზურგეთის გავლით სოფელ მერიისკენ მიემართება. იყო უტრანსპორტობა, უშუქობა, გაჭირვება, მიზერული ხელფასი, მაგრამ მას სკოლა არ მიუტოვებია, პირიქით მიაჩნია, რომ სკოლა მისთვის მეორე ოჯახია და ბოლომდე იხარჯება აქ.

ციური ბაბილოძემ სკოლას მის მიერ კალიგრაფიულად გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა საჩუქრად.

ციური ბაბილოძეს ჯილდო მიულოცეს სკოლის დირექტორმა **ავთანდილ კეჭაყმაძემ,** პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, ოჯახის წევრებმა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ ციური ბაბილოძეს ამ ჯილდოს.

საარჩევნო საჩივრების განხილვამ აჩვენა, რომ მომხდარ შეცდომებს არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია

დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ ოლქში შეტანილი საჩივარი, მომხდარის გამო კომისიის ყველა წევრის დასჯას ითხოვდა, რაც კენჭისყრის შემდეგ არ იქნა მიღებული.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლის **მარიკა მამალაძის** საჩივარი **ბაილეთის №19 უბანს** შეეხებოდა, სადაც ერთ-ერთი პარტიის ხმების რაოდენობა იყო გადასწორებული. ისინი კომისიის თავმჯდომარის და მდივნის ფინანსური ჯარიმის საკითხსაც აყენებდნენ.

ბაილეთის №19 საარჩევნო უბნის კომისიის მდივანმა **როენა ქავთარაძემ** და კომისიის თავმჯდომარე **მერაბ მამულაიშვილმა** განმარტეს, რომ მათ მიერ დაშვებულ შეცდომას ახლავს შესწორების ოქმი.

ბაილეთის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს მიეცა დისციპლინური სასჯელი – შენიშვნა.

კიდევ ერთი საჩივარი სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისაგან **ნატანების №42** საარჩევნო უბანს შეეხებოდა, სადაც 647-ის ნაცვლად ხელმოწერილი და ბათილი ბიულეტენების ჯამი 648 შეადგენდა. არასამთავრობოს წარმომადგენლები ბიულეტენების გადათვლას და დისციპლინარულ პასუხისმგებლობას ითხოვდნენ.

საოლქო კომისიამ აღნიშნული განცხადება შესწავლისა და მხარეების გამოკითხვის შემდეგ არ დააკმაყოფილა.

გადასწორება დაფიქსირდა **ლაითურის №11** უბნის შემაჯამებელ ოლქში, სადაც №44 საარჩევნო სუბიექტის ხმები გადასწორებული იყო. აღნიშნულზე საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლის საფუძველზე კომისიის მდივანს მიეცა შენიშვნა.

ნაღობილევის №36 საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარეს არ ჰქონდა სრულყოფილად ხელი შესწორების ოქმზე მოწერილი. როგორც აღნიშნული უბნის თავმჯდომარემ განმარტა მან გვარი სრულად, ხოლო სახელის პირველი ასო დაწერა.

აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა სხდომაზე არ დაკმაყოფილდა.

საოლქო კომისისამ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის საჩივრის საფუძველზე **ლაითურის №11** საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს, პროპორციული სიის ოქმში გადასწორების გამო (გადაითვალეს და სისწორე დადასტურდა) შენიშვნა გამოუცხადეს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივრის საფუძველზე აღნიშნული უბნის თავმჯდომარემ და მდივანმა შენიშვნა მიიღეს იმის გამოც, რომ არ ჰქონდათ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი დალუქული.

ახალგაზრდა იურისტებმა მსგავსი ფაქტი ხვარბეთის **№37 საარჩევნო უბანზეც** დააფიქსირეს.

ანალოგიური დარღვევების გამო ახალგაზრდა იურისტთა საჩივრის საფუძველზე შენიშვნები მიეცათ **ნატანების №41** საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და **ურეკის №14** საარჩევნო უბნის მდივანს.

მსგავსი შეცდომები გამო შენიშვნები მიეცათ **დვაბზუს №25** საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს.

სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებელი აცხადებდა, რომ **ანასეულის №57** საარჩევნო უბნის ძირითად ყუთში არ იყო საკონტროლო ფურცელზე პირველი ამომრჩეველის მონაცემები, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ხანგრძლივი მსჯელობის თემა იყო **მთისპირის №38** საარჩევნო უბნის საკითხი.

აქ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ამომრჩევლებს თხოვდა ეჩვენებინა რამდენი ბიულეტენი ეჭირა ხელში, ისე, რომ ირღვეოდა ფარულობის პრინციპი, რაზედაც მან მიიღო კომისიის თავმჯდომარისაგან შენიშვნა. ამაზე კი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა საჩივარი შეადგინა.

ასევე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე **თამაზ ტრაპაიძემ** განაცხადა,რომ ხარვეზიანი იყო შემაჯამებელი ოქმი, ხოლო შემაჯამებელი ოქმების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ, არ გასცა დამკვირვებლებზე ამ ოქმების ასლები.

როგორც საოლქო-საარჩევნო კომისიამ გაარკვია, პიროვნულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი ე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელსა და საუბნო კომისიისხელმძღვანელ პირებს შორის, ხოლო შემაჯამებელი ოქმების ასლების გაუცემლობა ტექნიკური მიზეზებით იყო განპირობებული.

როგორც აღნიშნული სხდომების დასრულების შემდეგ ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ბერდია ლომიძემ** გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, მათ ყველა საუბნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანს, წევრებს ჩაუტარეს შესაბამისი ტრენინგები, თუმცა საარჩევნო გარემოს (როცა უბანს 20 დამკვირვებელი ჰყავს), გადაღლილობის გამო დაუშვეს შეცდომები, უმეტესობა ოლქში წარმოდგენამდე გაასწორეს, რისი უფლება მათ ჰქონდათ. საოლქო-საარჩევნო კომისიამ შესაბამისი დისციპლინური სასჯელის ზომები გაატარეს.

—საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო საჩივრების განხილვამ აჩვენა, რომ მომხდარ შეცდომებს არჩევნების შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია – განაცხადა **ბერდია ლომიძემ.**

„ბახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის სოციალური პროექტი მთისპირში

ალიონი. მდინარე ბახვისწყალი, (სიგრძე 42კმ.), რომელიც მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, სამთო დასახლება ზოტიყელის სიახლოვეს იღებს სათავეს, იერთებს 90-ზე მეტ სამთო შენაკადს, რომელთა საერთო სიგრზე 127 კილომეტრს შეადგენს, გაივლის კურორტ ბახმაროს, სოფლებს უკანავა, ვანისქედი, მთისპირი, ოქროსქედი, მშვიდობაური, ფამფალეთი, ზედა ბახვი და სოფელ ნაგომართან ერთვის მდინარე სუფსას. მდინარე ბახვისწყლის საშუალო წლიური ხარჯი 6,18 მ3/წმ შეადგენს.

მდინარე ბახვის წყალზე, სოფელ უკანავაში უკვე აიგო „ბახვი 3“ ჰესი, რომლის სიმძლავრე 9,8 მეგავატია. 36 მეგავატი სიმძლავრის „ბახვი 2 ჰესი“ პროექტით მდინარის შუა ნაწილში უნდა აშენდეს, რაზედაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე გასცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება კომპანია **GCAP** მშენებლობისა და ექსპლოატაციის შესახებ.

ხოლო „ბახვი 1“ ჰესის სათავე ნაგებობა მდინარე ბახვის წყლისა და მდინარე ბაისურას შესართავს ქვემოთ უნდა გაკეთდეს. მოცულობით ეს ჰესი 3-ჯერ მცირეა „ბახვი 2“ ჰესზე და მისი დადგმული სიმძლავრე 12 მეგავატს შეადგენს, მაგრამ აღნიშნული ჰესის სათავე ნაგებობის პროექტის ბახმარო-გომისმთის რეკრიაციული ზონის სიახლოვემ გარემოსდამცველების გააქტიურება გამოიწვია.

რეგიონის მედიასაშუალებები აქტიურად აშუქებენ ამ თემას და საზოგადოებას აწოდებენ როგორც მოსახლეობის, გარემოსდამცველების შენიშვნებს და წინადადებებს, ასევე კომპანია „სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VI“ის მიერ მოწვეული უცხოელი ექსპერტების დასკვნებს და შენიშვნებს.

როგორც გაზეთ „ალიონის“ შეკითხვებს კომპანიიდან უპასუხეს, „ბახვი1 ჰესის“ პროექტი ამჟამად გარემოზე ზემოქმედების შესწავლის ატაპზეა გადასული, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს საპროექტო ტერიტორიის სიღრმისეული შესწავლა, გარემოზე პროექტის პოტენციური ზეგავლენის ყოვლისმომცველი კვლევა, შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და სოციალური საჭიროებების კვლევა. ასევე, მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთება და საბოლოო დიზაინის მოდელზე მუშაობა.

კომპანიამ „სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VI“, ინფორმაციით, პროექტზე მუშაობენ როგორც ქართველი სპეციალისტები, ასევე ჩართულნი არიან საერთაშორისო კომპანიები და ექსპერტები.მაგალითად,შვედურ - ფინური კომპანიის AFRY -ის ავსტრიის ოფისი სპეციალისტები პროექტის ტექნიკურ - ეკონომიკურ დასაბუთებასა და დიზაინზე მუშაობენ; საერთაშორისო კომპანიის **SLR** – ის ბრიტანეთის ოფისის ექსპერტი ნიკოლა ფოლკსი, ბიომრავალფეროვნების კვლევას და შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს უძღვება; ფრანგი ექსპერტი პიერ ბიდერმანი გარემოსდაცვით და სოციალური საკითხების მიმართულებით არის ჩართული პროექტშიდა ხელმძღვანელობს პროექტის კუმულაციური ზეგავლენისა და კლიმატზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლას.

რედაქცია დაინტერესდა სოციალურ საკითხებზე მუშაობის დინამიკით,. ამაზე კომენტარი „ალიონთან“კომპანია„სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VI“ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა დავით მიქელაძემ გააკეთა:

– „ბახვი 1“ ჰიდროელექტრ-სადგურის პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე (**ESG**) მომუშავე ჯგუფი, 2021 წლის მაისის თვიდან აქტიურად მართავს შეხვედრებს დაგეგმილი პროექტის განხორციელების არეალში მოქცეული სოფლების (მთისპირი, ოქროსქედი, უკანავა, ვანისქედი) მოსახლეობასთან. შეხვედრების ფარგლებში საუბარია იმ საჭიროებებსა და პრობლემებზე, რომელიც აწუხებთ ამ სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს. სწორედ, საჭიროებების კვლევა არის ერთ - ერთი მექანიზმი, რომელიც დაეხმარება კომპანიას ზუსტად განსაზღვროს იმ სოციალური პროექტების პაკეტი, რომელიც „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ დამტკიცების შემთხვევაში, განხორციელდება ამ სოფლებში. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტია, მოსახლეობის ჩართულობა და აქტიურობა.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში შეიქმნა პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭო. საბჭოს წევრები არიან ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ის აქტიური მოქალაქეები, რომლებიც თავიდანვე დაინტერესებულნი იყვნენ პროექტით და მისი მიმდინარეობით. საბჭოს წევრები წარმოადგენენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ასევე სამოქალაქო საზო-

გვ-5

„ბახვი 1 ჰესის“ ძირითადი ხარვეზები

guriacc
civicguria@gmail.com;

სექტემბერი 2021

„ბახვი 1 ჰესის“ სკოპინგის ანგარიშში გამოვლენილია მთელი რიგი ხარვეზები, როგორიცაა:

ჰესის მშენებლობა დაგეგმილია ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში და მის მიმდებარედ, რომელიც ხასიათდება უნიკალური მიკროკლიმატით და ბიომრავალფეროვნებით

ჰესის საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გურიის ეროვნული პარკის კონტურებს

სკოპინგის ეტაპზე არ არის წარმოდგენილი კვლევები არცერთი მიმართულებით.

არასწორად არის წარმოდგენილი ნულოვანი (არაქმედების) ალტერნატივა

ბახმაროს მიკროკლიმატზე ჰიდროელექტროსადგურის შესაძლო ზემოქმედება შეფასებულია მოძველებული, საბჭოთა მეთოდოლოგიით

არასრულფასოვნად არის წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების შეფასება.

წყლის ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული არ არის ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის მიდგომები.

სკოპინგის ანგარიშით არ მტკიცდება, რომ არ ექნება ადგილი კურორტის ვიზუალურ დაბინძურებას და უარყოფით ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას

არასრულფასოვნად არის წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და გარემოზე მიყენებული შეუქცევადი ზიანი.

„ბახვი 1“ ჰესის სკოპინგის დოკუმენტის შეფასების ანგარიში სრულად ხელმისაწვდომია ორგანიზაციის საიტზე **civicguria.ge**

გურიის სამოქალაქო ცენტრი

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

„ბახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის სოციალური პროექტი მთისპირში

ორგანოებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას, მედიასა და ბიზნეს სექტორს. საბჭოს წევრობა არა ანაზღაურებადი სამუშაოა, რომელიც ითვალისწინებს ყოველთვიურ შეხვედრებს,რომლის ფარგლებშიც კომპანია მრჩეველთა საბჭოს წევრებს აცნობს პროექტის მიმდინარეობას და განიხილავს ინიციატივებს.

სწორედ, ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრების დროს გამოიკვეთა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება – ადგილობრივი სკოლისა და საბავშვო ბაღის დახმარების საჭიროება. შესაბამისად, „ბახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გუნდმა, სოციალური პროექტების პაკეტის ფარგლებში, გადაწყვიტა მთისპირის საჯარო სკოლისა და ამ სოფლის საბავშვო ბაღისთვის, სოციალური პროექტის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ სკოლა და ბაღი ემსახურება მთისპირის თემის ოთხივე სოფელს (მთისპირი, ოქროსქედი, უკანავა და ვანისქედი).“

სოციალური პროექტის ფარგლებში, კომპანიამ შეიძინა და მთისპირის სკოლას გადასცა 5 პერსონალური კომპიუტერი, სრული კომპლექტაციით(პროცესორი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი, შ.). ასევე, მთისპირის სკოლა, „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის დახმარებით, აღიჭურვა 4 ვიდეო მონიტორინგის კამერით, რომელიც განთავსებულია სკოლის შესასვლელში, კომპიუტერულ ლაბორატ-ორიაში და 2 კამერა შენობის გარე პერიმეტრზე. პროექტის ESG გუნდმა გაითვალისწინა სკოლის დირექტორის თხოვნა და 5 არხიანის ნაცვლად, შეიძინა 20 არხიანი სისტემა, რაც გულისხმობს, რომ მოცემული აპარატურა, სურვილის შემთხვევაში, დამატებით 16 კამერის დამონტაჟების საშუალებას იძლევა.

„ბახვი 1-ის“ პროექტი ასევე, დაეხმარა სკოლას ბიბლიოთეკის განახლებაში და შეიძინა სკოლისთვის, როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე ქართულ და ინგლისურენოვანი კლასგარეშე ლიტერატურა.

სოციალური პროექტის ფარგლებში კომპანიამ მთისპირის საბავშვო ბაღს გადასცა ფართოეკრანიანი სმარტ ტელევიზორი, WIFI როუტერი და უზრუნველყო საბავშვო ბაღში ინტერნეტის ინსტალაცია. (ინსტალაციის და 1 წლის ინტერნეტის სააბონენტოს გადახდა, მოხდება კომპანიის-ის მიერ). ასევე, პროექტის გუნდმა საბავშვო ბაღისთვის შეიძინა, ჭიქები, თეფშები და ოთახის სათამაშოები (თოჯინები, მანქანები, ბურთები, კუბიკები, კონსტრუქტორები, სახატავი დაფები და ა.შ).

მთისპირის სკოლაში ამჟამად 100 მოსწავლე სწავლოს, ხოლო საბავშვო ბაღი 21 აღსაზრდელს ემსახურება.

დავით მიქელაძე, *კომპანია* CCEH HYDRO VI-ის *გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერი – „პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკი-თხების გუნდი მოსახლეობასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრების აქტიურ ეტაპზე იმყოფება. შეხვედრების ფარგლებში, ჩვენ ვცდილობთ დავადგინოთ საჭიროებები, რათა შემდგომში, სწორად დავგეგმოთ ის სოციალური პროექტები, რომელსაც კომპანია განახორციელებს „ბახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის დამტკიცების შემდგომ ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიასთან შემხებლობაში არსებულ სოფლებში. შეხვედრების ფარგლებში საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვეცნობით და უკვე გვაქვს გარკვეული ხედვა, თუ რა სახის სოციალურ პროექტებს შევთავაზებთ ადგილობრივებს. ჩვენი მიზანია, სოციალური პროექტების პაკეტის განსაზღვრისას აქტიური როლი ჰქონდეს სწორედ მოსახლეობას და ადგილობრივების ჩართულობის -ხარისხი იყოს მაღალი.*

ინფორმაციის გაცნობის ეტაპზე, უკვე გამოიკვეთა ისეთი საჭიროებებიც, რომლებიც სწრაფ რეაგირებას მოითხოვს. ჩვენ, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიას, ჩამოგვიყალიბდა კონსტრუქციული და საქმიანი ურთიერთობა მთისპირის მოსახლეობასთან და მათ მიერვე გაჟღერებული საჭიროებების შესწავლის შედეგად, გაგვიჩნდა სურვილი, მოვაგვაროთ მოზარდების პრობლემები, რაც საგანმანათლებლო სივრცის კეთილმოწყობასა და სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში გამოიხატა. ამ მიმართულებით განხორციელებული დახმარება, პირდაპირ პასუხობს ჩვენი კომპანიის გრძელვადიან და მდგრადი განვითარების მიზნებს, რადგანაც, მიგვაჩნია, რომ სწორედ ხარისხიანი განათლებაა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა“.

ნანა ჭეიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: – *ძალიან მნიშვნელოვანია „ბახვი 1 ჰესის“ პროეტის მიერ განხორციელებული დახმარება ჩვენთვის. ბიბლიოთეკაში მოძველებული წიგნები გვქონდა. დღეს კი ბევრი ახალი წიგნით ვხვდებით მოსწავლეებს. მოგეხსენებათ, თანამედროვე ლიტერატურის როლი მოზარდის განვითარების პროცესში, რა მნიშვნელოვანია. აქ არის როგორც სამეცნიერო, ასევე კლასგარეშე მხატვრული ლიტერატურა. კომპიუტერული ლაბორატორიის სრულად განახლება კი, უდაოდ ყველას გაახარებს სკოლაში. მაშინ, როცა ასე შემოიჭრა ინტერნეტი ჩვენს ყოველდღიურობაში, მოზარდებს უნდა მიუწვდებოდეთ ხელი. ბევრ ბავშვს სახლში არ აქვს კომპიუტერი, ამ ლაბორატორიაში კი თავისუფლად შეძლებს მოიძიოს საჭირო მასალა, შეასრულოს დავალება. ასე, რომ ღიაა ლაბორატორიის კარები, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე, მასწავლებლებისთვისაც.*

მაია ჩავლეშვილი, *ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში: – „ბახვი 1“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გუნდის წევრებთან ერთად არაერთი შეხვედრა გავმართეთ მთისპირის თემის ოთხივე სოფელში. გამოიკვეთა ბევრი პრობლემური საკითხი, თუმცა, ამავდროულად სკოლის და ბაღის დირექტორების მიერ წამოიჭრა გადაუდებელი აუცილებლობის თემ-ები, რომელთა გადაწყვეტას „ბახვი 1 ჰესის“ გუნდი დაგვპირდა და სასწავლო წლის დაწყებამდე შეასრულა კიდეც. სბავშვო სკოლაც და ბაღიც მოსწავლეებს წელს განახლებული ინვერნატით დახვდება. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალი სათამაშოები და ჭურჭელი ბაღისთვის, ასევე, საგაკვეთილო პროცესში ასე საჭირო ფართოეკრანიანი სმარტ ტელევიზორი. რისთვისაც, დიდი მადლობა „ბახვი 1 ჰესის“ პროექტის მენეჯმენტს.*

მეფუტკრეთა დასახმარებლად

საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

მეფუტკრეობა დიდი მეცნიერებაა. ბევრი იწერება ფუტკრის ბიოლოგიაზე, მომშენებლობაზე, პროდუქტებზე და ა. შ. მაგრამ დღეს ყველაზე პრობლემური საკითხი მაინც ფუტკრის დაავადებებია. აუცილებელია მკურნალობა, პროფილაქტიკური სამუშაოების დროულად და სწორად ჩატარება.

მთავარი ღალიანობის დამთავრებისთანავე, თაფლის გამოღების შემდეგ, იწყება ფუტკრის ოჯახების შემოწმება და საზამთროდ მომზადება. შემოწმების მიზანს წარმოადგენს, როგორც სუსტი, ძლიერი და საშუალო, ასევე უდედო, ცრუდედიანი ოჯახების გამოვლენა. უდედო ოჯახებს აძლევენ ახალ დედას, ხოლო ცრუდედიან ოჯახებს ჯერ გამოასწორებენ ცნობილი მეთოდებით, შემდეგ კი აძლევენ დედებს.

საკვები მარაგის უკმარისობის შემთხვევაში, ატარებენ ხელოვნურ კვებას შაქრის სიროფით, შემოდგომაზე 2 წილი შაქრის ფხვნილი 1 წილი წყალის შეფარდებით. ფუტკრის კვების დროს უნდა დავიცვათ უსაფრთხოება, არ მოხდეს საფუტკრეში ქურდობა, თავდასხმები სუსტ ოჯახებზე. თუ შევნიშნავთ, რომ ოჯახს ემუქრება საშიშროება, თავდასხმა, ამ შემთხვევაში დიზელის საწვავში დასველებული ჩვრით ვასველებთ სკის სახურავს და გვერდებს. გართულების შემთხვევაში ვკეტავთ ამ ოჯახს და გაგვყავს საფუტკრიდან, ვაბრუნებთ მეორე-მესამე დღეს. სასურველია ფუტკრის კვება ჩავატაროთ დღის მეორე ნახევარში, სუსტ ოჯახებს შევუმციროთ საფრენები. კვებასთან ერთად, ატარებენ სამკურნალო და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ვაროატოზის საწინააღმდეგოდ გამოიყენება პრეპარატები: **ეკოპოლი, თიმოლი . ბისანარი, პოლისანი, ბივაროლი** და სხვ. მონაცვლეობით, 5-7 დღის ინტერვალით. მკურნალობას ვწყვეტთ მთავარი ღალიანობის დაწყებამდე 15 დღით ადრე.

ფუტკრის ბარტყის ბაქტერიული დაავადებისადა სიდამპლეების სამკურნალოდ დაპროფილაქტიკი-სათვის გამოიყენება შემდეგი პრეპარატები: **ოქსიბაქტოციდი, ოქსივიტი, ეკოფიტოლი, აპიმაქსი, აპიტონი, „ჰარმონია პრიროდი**.

ნოზემატოზის სამკურნალოდ, პროფილაქტიკისთვის: **ნოზემატი, ნოზემაციდი.**

ინვენტარის დეზინფექციისთვის – **დეზინფექტონი** და სხვ.

ჩვენი პროდუქცია რომ იყოს ჯანსაღი, მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი ევროპულ ბაზარზე, რაც ეკოლოგიურად სუფთა თაფლის წარმოების ერთ-ერთი პირობაა, ძველ პრეპარატები უნდა ჩავანაცვლოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს და ევროსტანდარტების მიერ აღიარებული ახალი პრეპარატებით.

თუ მეფუტკრეს ეჭვი აქვს ფუტკრის ოჯახში ჭარბი რაოდენობის მანანა და სუროს თაფლის არსებობაზე (მანანა თაფლი ორი სახისაა – მცენარეული და ცხოველური. ზამთარში ორივეს აშიშია), ასეთ შემთხვევაში მას ცვლიან ხარისხიანი თაფლით, ან აძლევენ შაქრის სიროფს. საჭიროების შემთხვევაში, სუროს ყვავილობის დამთავრების შემდეგ, უნდა გამოვწუროთ თავღია საეჭვო თაფლი, შემდეგი მეთოდით.: სკიდან ვიღებთ უბარტყო თავღია თაფლიან ჩარჩოებს. ჩარჩოზე გადაბეჭდილ თაფლს არ ვეხებით და სეფერატორით ვაცლით მხოლოდ თავღია თაფლს. გამოწურულ ჩარჩოებს ვაბრუნებთ ისევ სკაში, ვუმატებთ საკვების ახალ მარაგს სიროფის სახით.

ბუდის შედგენის დროს სკიდან ვიღებთ ძველ სამამლე უჯრებიან, ნახევრად აშენებულ ფიჭებს, სკის განაპირა, კიდეებში ვათავსებთ თაფლ-ჭეოიან ფიჭებს, შემდეგ – ჩვეულებრივ თაფლიან ჩარჩოებს ისე, რომ ძლიერ ოჯახებს ჰქონდეს არანაკლებ 15-17 კგ სამარაგო თაფლი. საზამთრო თაფლიანი ფიჭები სასურველია იყოს მუქი ფერის, რომელიც უფრო თბილია. ბუდის შუაგულში ნუ დავტოვებთ ჭეოიან ჩარჩოს, რადგანაც ბუდეს, როგორც ტიხარი, ყოფს შუაზე და ირღვევა სკაში თბური რეჟიმი. ოჯახებს დასათბუნებლად ვადგამთ ტიხარებს, ბალიშებს გვერდით და ზემოდან. ოჯახებს სიძლიერის მიხედვით ვუპატარავებთ საფრენებს. სკები იყოს მიწიდან 50-55 სანტიმეტრის სიმაღლეზე. მოგეხსენებათ, რომ სინესტე სკაში მრავალი დაავადების გავრცელების კერაა. სკის სადგომები საიმედო, გამაგრებული იყოს. დაზიანებული, არასაიმედო სკები გამოვცალოთ დაუყონებლივ, რათა ზამთარში დაუპატიჟებელმა, არასასურველმა მავნებლებმა არ შეაღწიოს შიგნით.

დიდი მნიშვნელობა აქვს საფუტკრე ადგილის სწორად შერჩევას. იგი უნდა იყოს მშრალი, მზიანი და განათებული, ოღონდ არა ისე, რომ ზაფხულის პერიოდში აღმოჩნდეს პაპანაქება სიცხეში. სასურველია საფუტკრეში ფოთოლმცვენი ხე-მცენარეების საჩრდილობლად არსებობა. არ იყოს მეწყერის, ზვავისა და წყალდიდობის ზონაში, რკინიგზასთან, ავტომაგისტრალთან, საქონლის სადგომთან ახლოს, იყოს მშვიდი, წყნარი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. სკის საფრენები მიმართული უნდა იყოს აღმოსავლეთის და სამხრეთის მიმართულებით, სხვა შემთხვევაში – ადგილის რელიეფური გარემოების გათვალისწინებით.

რაც შეიძლება, ბლომად დავრგოთ და გავახაროთ თაფლოვანი ხე-მცენარეები.

გქონდეთ საფუტკრის აღრიცხვის ჟურნალი და სკები დანომრილი.

საფუტკრეში შემოდგომით დროულად და ხარისხიანად ჩატარებული სამუშაოები გარანტიაა ფუტკრის ოჯახების კარგი გამოზამთრებისა და მაღალპროდუქტიულობისა.

გისურვებთ წარმატებებს.

ჯანვერდი ცეცხლაძე,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის
თავმჯდომარე.

სულთათანა

მადონა შავიშვილის ხსოვნას

ორმოცი დღეა, რაც ზეციურ საუფლოს შეუერთდა ოზურგეთის 3 საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებელი **მადონა შავიშვილი.** დააკლდა ჩვენს ქალაქს, კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონი, დედა და მეგობარი. დასანანია,როდესაც წარსულში ვიხსენებთ ჩვენს მადონას... მისი ხალისიანი შემოსვლა ბაღში და ტკბილი ჰანგები, თითოეული ჩვენთაგანის მოგონებებში გადავიდა ...ჩვენს გულებში დარჩები, ჩვენო ღიმილიანო მეგობარო. უფალს ებარებოდეს შენი ლამაზი სული ...

ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

იამზე და სერგო ქვილორიები, შვილები ლადო და ნანა, რძალი ეკატერინე ვასაძე, სიძე გოჩა ჩიტაიშვილი ოჯახებით იუწყებიან **გური გერასიმეს ძე კვაჭანტირაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაიკრძალა 3 ოქტომბერს, სოფ. ზემო ნატანები.

მიყვარდით და მუდამ მეყვარებით!

როცა მამა გარდამეცვალა, ოზურგეთში ყველასთვის ცნობილი, კოლორიტი პიროვნება (ამას ჩემობით არ ვამბობ), მერე – უსაშველოდ მზრუნველი დედა და დეიდა, კიდევ საყვარელი ბიცოლა და საფიცარი ბიძები, დიდხანს არ შემშრობია თვალებზე ცრემლი, გული დარდით მქონდა სავსე.

მას შემდეგ წლები გავიდა. დრომ, ასე თუ ისე, უმკურნალა ჩემს სატკივარს, მაგრამ, ამ სიბერის ჟამს, უახლოესი ადამიანების სიკვდილიანობამ ისევ დამამწუხრა, დარდზე დარდი დამიმატა.

უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა 32 წლის წარმოსადეგი ვაჟკაცი ვალერი მგელაძე, უკურნებელმა სენმა ნაადრევად წაართვა სიცოცხლე კეთილშობილ და ერთგულ გია ბაქანიძეს. 40 დღე გავიდა, რაც უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ დედა-შვილი მზევინარ სირაძე და ირმა ჩხაიძე, ეს ქალბატონები ყოველთვის უშურველად გასცემდნენ მადლს და, სამწუხაროდ, პანდემიის გამო, ისე ვერ დავიტირეთ, როგორც ეკადრებოდათ.

ყველა მათგანი ჩემი სულიერი ძმები და დები იყო, თანაც ძალიან შინაურები. მათზე კარგის მეტს ვერავინ ვერაფერს იტყვის. ისინი მხოლოდ თავიანთ ოჯახებს კი არა, დააკლდნენ ნაცნობ-მეგობრებს, სამეზობლო წრეებს.

გია, ვალერი, მზევინარი, ირმა...

ეს სახელებიც პირად მოსახსენებელში ჩავწერე და ვალდებული ვარ, ყოველთვის მივაგო ღირსეული პატივი მათ ხსოვნას.

უფალს ყოველთვის შევთხოვ ყველა ჩემი გარდაცვლილის სულების ცხონებას.

გულსუნდა მახარაძე.

იყიდება

ქ. ოზურგეთში, ცენტრში, ბაზართან ახლოს (კლდიაშვილის ქუჩა) იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი (შელავათიან ფასში). დაგვიკავშირდით მობ. 591 63 01 86 (იკითხეთ ია).

მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება იაფად და ხარისხიანად

ტელ: 598 00 53 53

სკანვორდი



პასუხები:

ანიესი: სიტყვიერი – ალმოდგა – ალმანი – ალმანი; ჯიბეში – ალმასი; ფოფალი კოლოფისა; ფეხბურთი – ხმალი; ალმა – ალმა; ქალი; ალმა; ეკონომიკა – ტუალეტი; ბალიშიანი – ალმა; ბანი; ფანჯარა – ალმა; ალმა; ალმა;

საქართველო 1905-1907 წლებში



რევოლუციური გამოსვლები ჯარში

1905 წლის იანვარში დაწყებულ რევოლუციაში არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ცალკეული რევოლუციური გამოსვლების მიუხედავად, ხელისუფლების მხარეზე იდგა. განსაკუთრებით დიდი ერთგულებით ემსახურებოდა საიმპერატორო ხელისუფლებას კაზაკთა ჯარი და გვარდია. ტახტის ერთგულება შეინარჩუნა ჟანდარმერიამ და პოლიციამ.ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ხელისუფლებამ შეძლო რევოლუციის დამარცხება და სახელმწიფოებრივი წესრიგის აღდგენა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

ჯარისკაცთა მღელვარებები

კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები, რომლის მთავარსარდალი კავკასიის მეფისნაცვალი იყო, მთლიანობაში აღებული, ხელისუფლების დასაყრდენად დარჩა, თუმცა რევოლუციის პირველი თვეებიდანვე აშკარა იყო, რომ ჯარი დიდი სიამოვნებით არ შეასრულებდა დამსჯელის ფუნქციას. ეს განწყობილება მხოლოდ კაზაკთა ჯარს არ შეეხებოდა. აი, ზოგიერთი ცნობა ოფიციალური მიმოწერიდან:

1. 1905 წლის 23 ივლისს კავკასიის პოლიციის გამგე, გენერალ-მაიორი **ევგენი შირინკინი** თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ 1905 წლის 10-11 ივლისს ქალაქ **სოხუმში** განლაგებულ 258-ე ქვეითთა პოლკის ჯარისკაცებში მღელვარება აღინიშნა. მღელვარების მიზეზი იყო ცუდი ხარისხის პური და ჯარისკაცებისათვის კუთვნილი ფულის დარიგების შეფერხება. ევგენი შირინკინი დაასკვნიდა, რომ ჯარისკაცთა შორის მღელვარება მას შემდეგ დაიწყო, რაც პოლკში ქართულ და რუსულ ენებზე რევოლუციური მოწოდებები გავრცელდა. გენერალი გაოცებით აღნიშნავდა, რომ ყველა ასეულის ყაზარმის შესასვლელში მთელი დღე-ღამის განმავლობაში მორიგეები იდგნენ, მიუხედავად ამისა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, ყაზარმაში უცხო პირი დაეკავებინათ, არადა, ყაზარმებში მრავალი რევოლუციური მოწოდება და პროკლამაცია იპოვეს. 258-ე პოლკში რევოლუციური იდეების გავრცელებას კავკასიის პოლიციის გამგე იმითაც ხსნიდა, რომ პოლკში ბევრი ქართველი და სომეხი ჯარისკაცი მსახურობდა, მათ კავშირი ჰქონდათ სოხუმის მოსახლეობასთან, რომლებიც, როგორც ჩანს, ჯარისკაცებს პროკლამაციებს აწვდიდნენ. კიდევ ერთ მიზეზად გენერალი ასახელებდა იმას, რომ ბათუმიდან სოხუმში გემით ჩამოდიოდნენ საეჭვო პირები და დიდი ხნით რჩებოდნენ ქალაქში საცხოვრებლად. მათი შემოწმება ან მათისაქმიანობის კონტროლი ვერ ხერხდებოდა;

2. 1905 წლის 4 აგვისტოს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტს მოახსენებდა, რომ თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებში რევოლუციური აგიტაცია წარმოებდა და პროკლამაციებიც ვრცელდებოდა. 3 აგვისტოს სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკის მეთაურმა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობა, რომ ავლაბარში, პოლკის შტაბის ახლოს, დუქანში, შედგა თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა კრება. ასეთი კრებები შემდეგაც გაიმართა. პოლკის უფროსი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ შეკრებაზე დამსწრეთა უმრავლესობა ებრაელები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ, რუსები– შედარებით მცირე რაოდენობით. სამხედროების გარდა, კრებას სამოქალაქო პირები და ქალებიც კი ესწრებოდნენ. შეკრების ორგანიზატორები ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ, არ დამორჩილებოდნენ მეთაურებს და დაეწყოთ აჯანყება. ჯარისკაცთა გამოსვლების ორგანიზების მიზნით ყველა სამხედრო ნაწილისათვის შეირჩა ერთი პირი, რომელსაც საგიტაციო მუშაობა უნდა ეწარმოებინა სამხედროებში;

3. 1905 წლის 21 ნოემბერს გაიმართა თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა გრანდიოზული მიტინგი. მომიტინგეთა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო რევოლუციური პროპაგანდისათვის ბრალდებული სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკის უნტერ-ოფიცრისა და ჯარისკაცის პატიმრობიდან გათავისუფლება. მომიტინგეები, დაახლოებით 4.000-5.000 კაცი, ავლაბრისაკენ დაიძრნენ, სადაც განლაგებული იყო სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკი. მომიტინგეებმა პატიმრობიდან გაათავისუფლეს უნტერ-ოფიცერი და ჯარისკაცი და მათთან ერთად თბილისის ქვეითთა პოლკისაკენ გაემართნენ. მომიტინგეებს თბილისის ქვეითთა პოლკის ჯარისკაცები შეუერთდნენ და დიდი მიტინგი გაიმართა;

4. 1905 წლის 5 დეკემბერს კავკასიის პოლიციის გამგე კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა, რომ 1905 წლის 20-21 ნოემბერს ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა რსდმპ კავკასიის კავშირის აგიტატორების გავლენით შემდეგი მოთხოვნები შეიმუშავეს:

ა) დაუყოვნებლივ დაითხოვონ სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან 1901-1902 წლებში გაწვეულები, რომლებიც უკანონოდ იყვნენ დატოვებული სამხედრო სამსახურში;

ბ) სამხედრო ვალდებულება მოხდილი უნდა იყოს სამშობლოში (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით –ვ.ვ.);

გ) ჯარზე გავრცელდეს ის მანიფესტები, რომელთაც ხალხს უბოძეს სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, ასევე, ამნისტია და სხვა შელავათები;

დ) არავინ უნდა დააპატიმრონ ხალხის თანაგრძნობისა და ჯარისკაცთა ინტერესების დაცვისათვის;

ე) ჯარისკაცთა დაპატიმრება და მათზე სასჯელის დადება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას მიიღებს ასეულის ჯარისკაცთა მიერ არჩეული სასამართლო;

ვ) გაიზარდოს ჯარისკაცთა ხელფასი 5 მანეთამდე;

ზ) ჯარისკაცის კვებისათვის ყოველდღიურად გამოყოფილი თანხა გაიზარდოს 15 კაპიკამდე იმის გათვალისწინებით, რომ ეს თანხა ჯარისკაცთა კვების გაუმჯობესებას მოხმარდება;

თ) ჯარისკაცს თვეში მიეცეს: 2 ფუნტი შაქარი, 1/4 ფუნტი ჩაი და ხარისხიანი პური, რომლის ვარგისიანობას შეამოწმებს ჯარისკაცთაგან არჩეული კომისია;

ი) ჯარისკაცს წლიურად მიეცეს: 1 ღრუბელი, 1 საბანი, 2 ზეწარი, ბალიშის 2 პირი. თეთრეულის გარეცხვა სახელმწიფოს ხარჯზე მოხდეს. კვირაში ერთხელ, აბანოში წასვლის დღეს, ჯარისკაცს მიეცეს არანაკლებ 10კაპიკისა;

კ) ჯარისკაცს წლიურად მიეცეს ტანსაცმელი: 2 შარვალი, 1 მუნდირი, 1 შინელი, 2 ქუდი(1 საზაფხულო, 1 საზამთრო), ბამბის 2 პერანგი. ეს ტანსაცმელი სამსახურის დასრულ-ების შემდეგ დარჩეს ჯარისკაცს.

ლ) ჩექმების ნაცვლად ჯარისკაცს მიეცეს 12 მანეთი 2 წყვილი ჩექმისათვის;

მ) ყველა სამეურნეო თანამდებობა უნდა დაიკავონ ჯარისკაცთა მიერ არჩეულმა პირებმა;

ნ) სამხედრო ნაწილის ხემძღვანელობამ გავლენის მოხდენა კი არ სცადოსჯარისკაცების მიერ არჩეულ პირებზე, არამედ პატივი სცეს მათ;

ო) ოფიცრებს აღარ უნდა ჰყავდეთ არანაირი მოსამსახურეები;

პ) ჯარისკაცები არ გაიგზავნონ ხალხის დასაწყნარებლად;

ჟ) გაფიცვის დროს ჯარისკაცები არ გაიგზავნონ გაფიცული მუშების ნაცვლად სამუშაოდ;

რ) სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალ დროს ჯარისკაცს უფლება უნდა ჰქონდეს მეთაურის უკითხავად წავიდეს სურვილისამებრ;

ს) ჯარისკაცების ნათესავებსა და ახლობლებს ყაზარმებში შესვლის შეუზღუდავი უფლება მიეცეთ;

ტ)ჯარისკაცი და ოფიცერი, თუ სამხედრო სამსახურით არაა დაკავებული, თავისუფალი უნდა იყოს;

უ) მეთაურები პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ ჯარისკაცებს;

ფ) შეიქმნას ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, სადაც შეიტანენ ჯარისკაცების მიერ შერჩეულ წიგნებსა და გაზეთებს. ჯარისკაცებს უფლება მიეცეთ, დაესწრონ საგანმანათლებლო კურსებს;

ქ) ჯარისკაცს წელიწადში მიეცეს შვებულება 2 თვის ხანგრძლივობით იმის გათვალისწინებით, რომ ასეულიდან ერთდროულად 10 ჯარისკაცზე მეტი ვერ წავა შვებულებაში.

ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა პოლიტიკური მოთხოვნები ვერ წამოაყენეს, რადგან ეს კანონით იკრძალებოდა, თუმცა მოთხოვნები ამის გარეშეც საკმაოდ თამამად იყო ჩამოყალიბებული და ჯარისკაცთა ინტერესებს ასე თუ ისე სრულად გამოხატავდა.

5. 1906 წლის 26 მარტს სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკის ჯარისკაცებმა გაავრცელეს მოწოდება, რომელშიც აღნიშნული იყო: გადავწყვიტეთ, 26 მარტს არა ფარულად, არამედ ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე შევკრებილიყავით და ჩვენს საჭირბოროტო საკითხებზე გვემსჯელა. ოფიცრები შეშინდნენ და ჩვენს დასარბევად კაზაკებსა და პოლიციელებს უხმეს. ბევრი ჯარისკაცი და არასამხედრო პირი დააპატიმრეს, დანარჩენები გაფანტეს. სამეგრელოს პოლკის ჯარისკაცებმა გადავწყვიტეთ, გაგვეთავისუფლებინა ჩვენი ამხანაგები. ჩვენ მოვუწოდეთ ოფიცრებს, დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ ყაზარმებში დაპატიმრებულები. ჩვენი მოთხოვნა შესრულდა, ამის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელმაც ჯარისკაცებისათვის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელა. ამის გამო აღშფოთებული ოფიცერი **ბოგუნოვი** კაზაკების მოყვანითა და ანგარიშსწორებით დაგვემუქრა, ხოლო ერთმა ფელდფებელმა ხმლით შეუტია ჯარისკაცებს. ამით გაღიზიანებულმა ჯარისკაცებმა იარაღი აისხეს და ყაზარმის ეზოში მოეწყვნენ, რამდენიმე მათგანი მე-14 ასეულის ყაზარმისაკენ გაემართა, რათა იქაური ჯარისკაცებისათვის ემცნოთ მომხდარი. მე-14 ასეულის უნტერ-ოფიცერმა **ლუკიანენკომ** თავისი ასეულის ჯარისკაცებს უბრძანა მოსულებისათვის ცეცხლი გაეხსნათ. სროლის შედეგად 5 ჯარისკაცი დაიჭრა, რომელთაგან ერთი, **ვასილი ვესეცკი,** ჭრილობისაგან გარდაიცვალა. 4 დაჭრილი ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მოწოდება სრულდებოდა სიტყვებით: ,,წყეულიმც იყავთ, ჯალათებო! ამხანაგებო! სისხლი დაიღვარა. ამ სისხლით მორწყულია ყაზარმის იატაკი. ამიერიდან ამ შემთხვევის ხსოვნა ჩვენს გულში დარჩება და დიდი სიძულვილით აღგვავსებს ოფიცრებისა და სხვა მეთაურების მიმართ";

6. 1906 წლის 26 მარტს თბილისში სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა **,,თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა კავშირის“** პროკლამაცია: **,,იარაღი აისხით და იბრძოლეთ თავისუფლებისათვის!“** პროკლამაციაში 25 მოთხოვნაა ჩამოყალიბებული. ეს მოთხოვნები ბევრად წააგავს ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, თუმცა არის განსხვავებულიც:

– არ გაიგზავნოს ჯარი მუშებისა და გლეხების დასარბევად;

– დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამხედრო მდგომარეობა;

– რუსეთისა და კავკასიის სოფლებიდან გამოყვანილი იქნას დამსჯელი რაზმები და კაზაკთა ჯარი;

– მემამულეებს, მონასტრებს,სხვა მფლობელებს საუფლისწულო და სახელმწიფო მიწები ჩამოერთვათ და ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გადაეცეთ გლეხობას;

– დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს ყველა პოლიტპატიმარი და მთლიანად შესრულდეს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით მეფის მიერ ნაბოძები უფლებები: სიტყვის, სინდისის, კრების, ბეჭდვის თავისუფლება, ასევე პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა;

7. 1906 წლის 24 ივნისს კავკასიის პოლიციის გამგე გენერალ-ლეიტენანტი **ევგენი შირინკინი** თბილისის ოხრანკის უფროსის მიერ მიწოდებული აგენტურული ცნობების საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა: 23 ივნისს ნაძალადევში სოციალ-დემოკრატების კრებაზე გამოცხადდა სარკინიგზო ბატალიონის დელეგატი და სოციალ-დემოკრატებისაგან დახმარება ითხოვა. კერძოდ, დელეგატი ითხოვდა დახმარება აღმოეჩინათ ბატალიონისათვის, რომლის ჯარისკაცებიც არეულობის საბაბით დაპატიმრებულნი იყვნენ. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრმა რკინიგზის მუშებმა დელეგატს განუცხადეს, რომ გაიფიცებოდნენ და არ დაუშვებდნენ დაპატიმრებული ჯარისკაცების ყარსის ციხე-სიმაგრეში გაგზავნას.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ ბურული

საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი 3, გვ.365-367

ვულოცავთ!

დაბადების დღეს ულოცავს გამოცდილ პოლიგრაფს, ყველა ადამიანური ღირსებით შემკულ, დარბაისელ, დიდ მფუხარება გადატან ქალბატონს

დოდო ყიფიანი-აბაშიძისას.

ძველი და ახალი „ალიონელები“

ვულოცავთ!

გაზეთი „ალიონი“ დიდ იუბილეს, დაბადების 95 წელს ულოცავს ქალბატონ **ბაბუცა აბრამალაძეს,** დიდხანს სიცოცხლესა და წარმატებებს უსურვებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ მხცოვან პიროვნებას

ოზურგეთის თეატრის ახალი, 154-ე სათეატრო სეზონი რაჭაში გაიხსნა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ საგასტროლო ტურნეი რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში გაემგზავრა.

ეს გასტროლი შედგა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში. ამბროლაურში, ონში, ცაგერში, ჭუბერსა და მესტიაში ოზურგეთის თეატრმა წარმოადგინა ორი სპექტაკლი – თამარ ბართაიას „მთავარი როლი“ (რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი) და „ფიროსმანი“ (რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი).

გასტროლით ოზურგეთის თეატრმა გაიფართოვა მაყურებლის არეალი და თავისი შემოქმედება გააცნო რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მკვიდრთ, რეგიონის სტუმრებსა და ტურისტებს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, **ვასილ ჩიგოგიძის** სიტყვებით, ეს საგასტროლო ტურნე თეატრისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი.

–„რაჭაში ოზურგეთის თეატრი ბოლოს იყო ნახევარი საუკუნის წინ, ლეჩხუმსა და სვანეთში კი საერთოდ არ ვყოფილვართ. საგანგებოდ შევარჩიეთ ისეთი პუნქტები, სადაც არ ფუნქციონირებს პროფესიული თეატრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ვიყავით ჭუბერში, მისი მდებარეობის გამო აქ ასეთი ვიზიტები იშვიათია. ჭუბერი რაიონული ცენტრიდან 70 კილომეტრით არის დაშორებული.

განსაკუთრებული სითბო და ინტერესი გამოხატა აქაურმა მაყურებელმა, ჭუბერის კულტურის სახლის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ლალი ჩხეტიანმა. ვფიქრობთ, რომ ჭუბერთან დაკავშირებით ცალკე პროექტი გავაკეთოთ.

ყველგან გვყავდა საოცარი მასპინძელთა გუნდი ამბროლაურის კულტურის სახლის ხელმძღვანელის თამაზ დაუშვილის, ონის კულტურის სახლის დირექტორის მალხაზ ჯაფარიძის,ცაგერის თეატრის ხელმძღვანელის დარეჯან საღინაძისა და მესტიის თეატრის თავკაცის გეგი ფალიანის თაოსნობით.

დიდი მადლობა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მინისტრს თეა წულუკიანს ამ პროექტის მხარდაჭერისა და ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

გარდა ჩვენი შემოქმედების გაცნობისა, ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ამ რეგიონების წარმომადგენლებს, არაჩვეულებრივ ბუნებასა და კულტურის უძველეს ძეგლებს. ამ მხრივაც ძალიან დიდი შთაბეჭდილებით დავბრუნდით ოზურგეთში.“

მართალია 154-ე სეზონი გასტროლზე გაიხსნა, მაგრამ ოზურგეთის თეატრისათვის მნიშვნელოვანია სეზონის პირველი პრემიერა ადგილზე, რომელიც ოქტომბრის მეორე ნახევარში იგეგმება.

წინასწარი პროგნოზით, გოჩა კაპანაძის „გურიის დედოფალი“ საინტერესო და რეზონანსული პრემიერა იქნება.

ლია კილაძე,
თეატრის პრეს სამსახური

ამირან ქადეიშვილის ხსოვნას

საქართველოს სახალხო არტისტი **ამირან ქადეიშვილი** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში, 8 ოქტომბერს, ბოხუას კლინიკაში გარდაიცვალა.

იგი ოზურგეთის თეატრის მსახიობთა იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომლებმაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული დიდი წარმატება მოუტანეს ამ თეატრს.

ამირან ქადეიშვილს კინოსა და თეატრში შესრულებული აქვს სხვადასხვა როლები. მის მიერ შესრულებული როლებია: ნიკოია („სემირამიდას ბაღები“), კვეგვე ტარბა („მთვარის მოტაცება“), კურა-მუჰამედი („ციმბირელი პაპა“) , ჭოლა („პირველი მერცხალი“), ნიკო („გაქცევა გათენებისას“), ხირხალა („სიყვარული ყველას უნდა“), კობიძე („სახლი ლესნაიაზე“), ერმილე მამალაძე („მევლუდი“).

ასევე მონაწილეობდა ფილმებში: „კავკასიის ტყვე“, „როგორ ვიცხოვრო უშენოდ“, „თბილისი, პარიზი, თბილისი“, „ჟამი მოქცევის“, „სათნოებათა კიბე“ და სხვა.

ოზურგეთის თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

2018 წელს ამირან ქადეიშვილს გადაეცა ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“.

„ძნელია იპოვო სიტყვები ჩვენი საამაყო და ერთგული ამირან ქადეიშვილი შეუერთდა მარადისობას!!!

გვიყვარდა და ვუყვარდით. გვეამაყებოდა მისი ადამიანობა, ნიჭი, თავმდაბლობა, პიროვნული სითბო და ხიბლი თვითონ ოზურგეთის თეატრით ამაყობდა

ვუსამძიმრებთ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს და პირველ რიგში, ქალბატონ ალდონას, ალდონა ერქომაიშვილი ვინაც მოკლე ხანში დაკარგა ძვირფასი ადამიანები – ძმა, ანზორ ერქომაიშვილი და მეუღლე – ამირან ქადეიშვილი, მისთვის ოჯახის წევრები, ჩვენთვის კი ქართული კულტურის ბუმბერაზი და გამორჩეული სახელები“–წერს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი თავის ფეისბუქგვერდზე.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გარდაცლილის ოჯახს.

არ შემდგარი ინტერვიუ

ია ინგოროყვას ხსოვნას

არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ჩვენი ემოცია, რადგან გასულ ხუთშაბათს, 2 საათზე ია ინგოროყვასთან ინტერვიუ უნდა ჩაგვეწერა. ვიცით, ამ შეხვედრ-ისთვის იგი საგანგებოდ ემზადებოდა...

ერთი წლის წინ გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე იას მამა ბადრი ინგოროყვა...ცნობილ ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი და არაერთი ტრიუმფის თანაზიარი იტალიაში, შოტლანდიაში თუ ევროპის სხვა ქვეყნების სცენაზე...შემდეგ ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოებებების „გურიის მთები“, „ქორბუდე“ არაერთი ექსპედიციის მონაწილე კავკასიონზე თუ გურია-აჭარა-მესხეთის მთიანეთში.

მთა მეტად აახლოებს ადამიანს და მისი სიხარულისა და საწუხარის თანაზიარი ხდები.

–ჩემი ბიჭები –ეს იყო მისი საფიცარიც და საწუხარიც. ენატრებოდა უცხოეთში, გერმანიასა და ამერიკაში წასული ია და კახა...

ჩვენ ორივეს ეროვნული მოძრაობიდან ვიცნობდით. 1989 წლის წლის 9 აპრილის შემდეგ ოზურგეთში გამართულ მრავალათასიან მიტინგებს, ღამისთევებს იას მიერ შექმნილი მომღერალი ბიჭების ჯგუფის „შავლეგო“ აძლიერებდა. როგორ გუგუნებდა ოზურგეთის თეატრის თაღებში მათი ხმები და როგორ ციალებდნენ ღამის შუქზე ასეულობით ადამიანის ხელში ანთებული სანთლები...

შემდეგ – ბევრი ახალგაზრდა წავიდა უცხოეთში. ია გერმანიაში –ქალაქ ვაინგარდენში ცხოვრობდა. კახა –აშშ-ში. გვესმოდა მათი წარმატებების შესახებ...

მამის დაკრძალვას, პანდემიიდან გამომდინარე სირთულეების გამო, ვერ დაესწრნენ მისი ვაჟები. ქალბატონი ნელი თოდრაძე მოუთმენლად ელოდა მათ ჩამოსვლას.

და აი, ერთი თვის წინ ია ჩამოვიდა..გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მოვიდა ქალბატონ ნელისთან ერთად და მამის მეგობრები მოგვინახულა...მაშინ შევთანხმდით ინტერვიუზე. არჩევნებმა ცოტათი გადაგვიდო ჩანაფიქრი.. გასულ ოთხშაბათს შემოგვიარა იამ რედაქციაში...ინგოროყვების გვარის ჩერქეზულ წარმომავლობაზე გვესაუბრა...ბილეთს ველოდები და რამდენიმე დღეში გავფრინდები გერმანიაშიო, გვითხრა. შევთანხდით, მეორე დღეს ნოდარ დუმბაძის ქუჩაზე, მასთან სახლში შევხდებოდით ერთმანეთს...

შემდეგ რედაქციის ძველი თანამშრომელი გულსუნდა მახარაძე შემოვიდა და ბადრი ინგოროყვას შვილს სიყვარულით უთხრა: –როგორ დატოვებ შენს ქვეყანას, დედას და კვლავ უცხოეთში წახვალო..

იას კისრის ძართვები დაებერა და გაბზარული ხმით უპასუხა –ამათმა იციან, მე როგორ მიყვარს ჩემი ქვეყანა, რაზე ვოცნებობდით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრები და რა მივიღეთ, აფხაზეთის ომში ერთ-ერთი პირველი მე წავედი...რა უნდა მექნა აქ, რომ არ წავსულიყავი, ხომ უნდა მემუშავა და ოჯახს დავხმარებოდი,ნეტავ დედ-მამაც იქ მყოლოდაო....

–ახლა რატომ მიდიხარო–თბილად შეეპასუხა გულსუნდა მახარაძე.

–იქ სამსახური მაქვს – ებრაელთა სათვისტომოს დაცვის უფროსი ვარ და იქ მელოდებიან. ისე, სად წავალ, ჩემს სამშობლოში დავბრუნდებიო...

დაგვემშვიდობა და წავიდა, თურმე სამუდამოდ...სამწუხაროდ, ჩვენი ინტერვიუ არ შედგა..

ნუგზარ ასათიანი,
თემურ მარშანიშვილი.

რაგბი

„არწივები“ ლიდერთა შორისაა

4 ოქტომბერს, ქ. ოზურგეთში, ზვანის სარაგბო მოედანზე ოზურგეთის „არწივები“ პირველი ლიგის მეორე ტურის გამოტოვებულ მატჩში თბილისის „ხვამლს“ შეხვდა და 28:10 დაამარცხა.

ოზურგეთელებმა წინა ტურში უმაღლესი ლიგის ყოფილი ბინადარი გორის „ჯიქები“ საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით 60:7 დაამარცხეს, ხოლო თბილისში ერთ-ერთ ლიდერ თბილისის „არმიასთან“ 23:28 დამარცხდნენ.

პირველი ლიგის გათამაშებას პატარძლეულის „ვეფხვები“ ლიდერობენ. მათ 3 შეხვედრიდან 14 ქულა აქვთ. მეორე ადგილზე 12 ქულით თბილისის „არმიაა“ .ოზურგეთის „არწივები“ (2 მოგება, 1 წაგება, გატ. 111 გაშვ. 45) 10 ქულით მესამე ადგილზეა. „არწივებს“ აღნიშნული ლიგის გუნდებს შორის საუკეთესო სხვაობა აქვს 66.

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 ოქტომბერი, ორშაბათი	12 ოქტომბერი, სამშაბათი	13 ოქტომბერი, ოთხშაბათი	14 ოქტომბერი, ხუთშაბათი	15 ოქტომბერი, პარასკევი	16 ოქტომბერი, შაბათი	17 ოქტომბერი, კვირა
მზე, ღრუბელი +11+20	მზე, ღრუბელი +14+25	მზე, ღრუბელი +13+22	მზე, ღრუბელი +13+20	ღრუბელი +12+19	მზე, ღრუბელი +11+18	წვიმა +9+15